



ვატარინართა რეგიონული ასოციაციის სანიტორაქტიური ცნობარი



ვატარინართა მომსახურება თუში მკვებარეებისათვის



თუშ მკვებართა აუცილებელი ვეტერინარული მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ასოციაციების მართვის ცენტრი ქახეთის რეგიონში ვეტერინარული ჰუნქის მოწყობის პროექტს ახორციელებს. პროექტი ეფუძნება 2015 წლის დასაწყისში განხორციელებულ მკვებართა კვლევის შედეგებს. 41 თუში მკვებარის გამოკითხვამ გამოავლინა კვალიფიციური ვეტერინარული მომსახურების სიმწირე, ვეტერინარული ჰუნქის საჭიროება და ცხვრის მიგრაციის პერიოდში მობილური ვეტერინარული მომსახურების აუცილებლობა. ვეტერინარული სერვისის ხელმისაწვდომობის პროექტი რეგიონში ადგილობრივ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობას და ამ ურთიერთობის საფუძველზე პროექტის მიზნების მიღწევას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია: ალვანის საზოგადოებრივი კოლეჯი "აისის" ბაზაზე ვეტერინარული ჰუნქის მოწყობა, სატელიტური ვეტერინარული ჰუნქის ორგანიზება ქასრისწყლის ტერიტორიაზე, მცირე ვეტერინარული აფთიაქის მოწყობა, ვეტერინარული მომსახურების ჰაქეტების მომზადება და ქახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის ბიზნეს განვითარების გეგმის მომზადება. პროექტი ასევე ითვალისწინებს საპილოტე სერვისების შეთავაზებას და განხორციელებას ადგილობრივი მკვებარეებისთვის. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის (EU) მიერ დაფინანსებული პროექტის, "საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისათვის კლიმატის ცვლილების მერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით", ფარგლებში, რომელსაც საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ახორციელებს.



საეღიანი ვატარინართა ტრენინგ-პროგრამა

იმერეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციების წევრები სამდღიან ვეტერინარულ ტრენინგებს დაესწრნენ. ტრენინგ-პროგრამა ორგანიზაცია მოქალაქეთა ქსელი საგარეო განვითარებისთვის (CNFA) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის


აღდგენის პროექტის (REAP) ფარგლებში განხორციელდა. ასოციაციების წარმომადგენელთა გარდა, ტრენინგებს რეგიონული ფერმერთა მომსახურების და მექანიზაციის ცენტრების წარმომადგენლებიც დაესწრნენ. ტრენინგ-პროგრამა მოიცავდა, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ ურსს. თეორიული ნაწილის ფარგლებში, სპეციალისტებს მიეცათ პროფესიული უნარ-ჩვევების განახლების საშუალება შემდეგი მიმართულებით: კლინიკური ანამნეზი და ლაბორატორიული ჩარევა, პაციენტის გადაადგილები და კრიტიკული მოვლა, პირადი დაცვის აღჭურვილობა, ცხოველთა დაავადებების პრევენციის ზოგადი მიდგომები, ვეტერინარული პრეპარატების გამოყენება და სხვა. პრაქტიკული ტრენინგი განხორციელდა, ბაღდადის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდველაში, ფერმის ტერიტორიაზე. ერთ დღიანი სავლელ გასვლისას ვეტერინარებმა პრაქტიკულად განახორციელეს: პირუტყვის ვიზუალური გამოკვლევა, ცხოველების ფიქსირება, კლინიკური და სუბკლინიკური მასტიტის გამოვლინება სავლელ ტესტის გამოყენებით, სავლელ პირობებში სისხლის აღება, უცხო (მეტალის) სხეულის გამოვლენა და სხვა. წარმატებულ მონაწილეების გადაეცათ სერტიფიკატები.

ყოველთვიური კონსულტაციები ფარმაციათა მფლობელებისთვის



ვეტერინართა რეგიონული ასოციაციები სოფლებში ყოველთვიურად აწყობენ საკონსულტაციო შეხვედრებს. საკონსულტაციო, ფერმერთა ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები ადგილობრივი მოსახლეობისთვის უსასყიდლოდ იმართება. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა 253 სოფელში, შეხვედრებს კი 1591 ფერმერი დაესწრო. ფერმერები კონსულტაციებს იღებენ პირუტყვის მოვლასთან და დაავადებების პროფილაქტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონსულტაციის მიღების სურვილის შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდეთ შესაბამისი რეგიონის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის თავმჯდომარეს. სატელეფონო კონტაქტი მითითებული საინფორმაციო ცნობარის ბოლო გვერდზე.

ოქრათის ვატარინართა რეგიონული ასოციაციის ტექნიკური მანქანების ფრეზ



იმერეთის ვეტერინართა ასოციაცია განაგრძობს წვერი ვეტერინარების ხელშეწყობას და თანამშრომლობას ჰარტნიორ ორგანიზაციებთან. 2015 წელს ჭიათურის ფერმერთა მომსახურების ცენტრს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) ფარგლებში პორტატული ექოსკოპის დანადგარი გადაეცა. ამავე ინიციატივის ფარგლებში ვანის ფერმერთა მომსახურების ცენტრს გადაეცა ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების ხელსაწყობები. პროექტის მიერ განხორციელებული ღონისძიებით ასოციაციის წევრებს ეძლევათ საშუალება, რეგიონში დანერგონ მრავალფეროვანი მომსახურება.

ბაბოცვრობა

ბოცვრის მოშენება საქართველოში ერთ-ერთ პოპულარულ და მალაღრეცებულ ბიზნესად ითვლება. მიუხედავად სფეროს პოპულარობის ბევრს ბოცვერი და ჯერდელი ერთი ცხოველი ჰგონია, ორივე სახეობა ჯერდელისებრთა ოჯახს წარმოადგენს, ბოცვერი სანაშენე ცხოველია, ხოლო ჯერდელი გარეული. მსოფლიოში 1,2 მილიარდი ბოცვერი იკვლება წლის განმავლობაში. აქედან 40% ჩინეთში. მებოცვრობა რიგით მეორე ფერმერულ საქმიანობად ითვლება ევროკავშირში. 326 მილიონი ბოცვრის დაკვლა ხორციელდება ყოველწლიურად იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში. აქვე მოვიყვანო ცნობებს ბოცვრის ხორცის უპირატესობათა შესახებ:

- ბოცვრის ხორცი შეიცავს ადვილადმონელებადი ცილების მალაღრეცებს;
- სხვა სახეობის ხორცთან შედარებით გამოირჩევა ცხიმის დაბალი შემცველობით;
- ბოცვრის ხორცი თითქმის არ შეიცავს ქოლესტერინს და შესაბამისად მისი მიღება რეკომენდირებულია გულით ავადმყოფი პაციენტებისთვის;
- გამოირჩევა პროტეინის დაბალი შემცველობით;
- სხვა სახეობის ხორცთან შედარებით, მალაღრეცე ქალციუმის და ფოსფორის შემადგენლობა აქვს;
- ბოცვრის ხორცის გამოსავალი ძვალთან მიმართებაში, ფრინველის ხორცთან შედარებით გაცილებით მალაღრეცეა;
- ბოცვერი 6-ჯერ მეტი წონამაგით გამოირჩევა ვიდრე მსხვილფეხა პირუტყვი მსგავსი საკვები და წყლის რესურსების გამოყენებით.



წყარო: <http://www.ciwf.org.uk/farm-animals/rabbits/>;
<http://www.fao.org/docrep/t1690e/t1690e03.htm>;
<http://riseandshinerabbitry.com/2012/04/06/10-reasons-why-you-should-eat-rabbit-meat/>

კითხვები პატარნარს

ბოხოვთ ბჟიანბოთ ნაბარჟის მანაბა



ნაბარჟი იგივე პიროპლაზმობი, გავრცელებული სეზონური დაავადებაა. დაავადება წელიწადის თბილ დროს და განსაკუთრებით სეზონური შენახვისას იჩენს თავს. სხვადასხვა რეგიონში მას ასევე ციების, ტიპურის და დასიცხვის სახელითაც მოიხსენებენ. პიროპლაზმობი ძირითადად მწვავედ მიმდინარეობს და ციებ-ცხელებით, სიყვითლით, ანემიით და მუქი წითელი შარდის გამოყოფით ვლინდება. შესაბამისად დაავადებაზე ეჭვის აღებაზე ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებით ხდება. მიუხედავად დაავადების სისხშირისა, ბევრმა ფერმერმა არ იცის, რომ დაავადების წყაროს სისხლისმწოველ ტიპში არსებული სისხლის პარაზიტი (პიროპლაზმა) წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყველა ტიპის არ არის დაავადების აღმძვრელი. მიუხედავად ამისა ცხოველის სეზონურ დამუშავებას ტიპების წინააღმდეგ დიდი

მნიშვნელობა აქვს. დაავადება შესაძლებელია ადამიანშიც გავრცელდეს. სასურველია, ფერმერმა ადრე გაზაფხულზე მიმართოს ვეტერინარს და სპეციალისტის მიერ შემუშავებულ პროფილაქტიკურ გეგმას მიჰყვეს.

მომზადებულია სამცხე-ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონული ასოციაციის წევრის ცირა ინსარაძის მიერ

საქართველოში ნარეზბანილი პატარნართა რაზიონელი ასოციაციები

- მომაზაბაზილი ასოციაციის მართვის მართვის მართვა**
 მის: საქართველო, თბილისი, იეთიმ გურჯის 7ბ
 ტელ.: (+995) 32 245 75 45
- ნაზარი**
 მის: ქ. ბათუმი, ტ. აბუსერიძის 29ა.
 თავმჯდომარე - ნანა ბალანჩივაძე
 ტელ.: 599 57 08 75
- რეზონი**
 მის: ქ. ქუთაისი, გოგებაშვილის ქ. 16/18/20
 თავმჯდომარე - ზვიად ნატრი-აშვილი, ტელ.: 599 71 20 17

- სამაზარი-ჯაბო სპანთი**
 მის: შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალი.
 თავმჯდომარე - ბესო გოგოლი
 ტელ.: 599 501 807

- კანთი**
 მის: ქაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯი "ასი" გურჯაანი
 თავმჯდომარე - ანაი ელანაძე
 ტელ.: 593 609 638

- სამსხა-ჯაბანთი**
 მის: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ახალციხე თავმჯდომარე - შოთა ყულჯანიშვილი
 ტელ.: 551 972 900

- მღა პართი**
 მის: სოფელ ფხვენისის სოციო ეკონომიკური ზონა, გორი თავმჯდომარე - არსენ ნოზაძე
 ტელ.: 593 735694